პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ხუთშაბათი, 8 იანვარი 1925 წ. წელიწადი მეხუთე ფასი 3 კაპ.

# წითელი არმიელი

№ 4 (692) 1-ლი და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი

რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა სახელე ელ. 16

განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ხომპარულის სტრიქონ სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

## მუშათა კლასის გამცემლები სამუშაოზე.

ბელგიის დედაქალაქში—ბრიუსელში ამ ჟამად მიმდინარეობს მე-2 რე ინტერნაციონალის და ამსტერდამის გაერთიანების ამხანაგობის შეერთებული სხდომები.

სოციალ-გამცემლებმა შეიყარეს თავი, რათა გამოიმუშაონ მორიგი გეგმები, მიმართული მუშათა კლასის წინააღმდეგ.

ამ ვაჟბატონებმა სავსებით დაკარგეს ყოველგვარი სინდისი და დღეს მეტი გულახდილობით, მეტი გაბედულობით ლაპარაკობენ რეაქციის დახმარებაზე და კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე.

და ეს ისეთ მომენტში, როდესაც ბურჟუაზიული რეაქცია ყოველმხრივ უტევს მუშათა კლასს და ერთად ერთ მუშურ სახელმწიფოს—საბჭოთა კავშირს. წინად მენშევიკები ლამაზ სიტყვებს მაინც სთავაზობდენ მუშათა კლასს და ფარულად აკეთებდენ თავის საზიზღარ საქმეებს. დღეს კი ნიღაბი სავსებით ჩამოიხადეს და აშკარად, უტიფრად დადგენ ბურჟუაზიის მხარეზე. მათი სხდომებზედ დღეს ლაპარაკია არა კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაზე, არამედ მის დაცვაზე კომუნისტური საფრთხისაგან. მე-2-ე ინტერნაციონალი და მთელი მისი შავი ამალა (სიყვითლე უკვე დაკარგეს მათ) გასწვალულია ერთი აზრით, ერთი მიზნით—ლახვარი ჩასცეს რევოლიუციონურ მოძრაობას და კომუნიზმს. ამ მხრივ ბატონი ვანდერველდე და კამპანია არაფრით არ განირჩევა სისხლის მსმელ რეაქციონერ ჩემბერლენისაგან. საერთაშორისო მენშევიზმი მუშათა მოძრაობის სახის ქვეშ გახდა პროლეტარიატის დაუძინებელი მტერი და კაპიტალიზმის ერთგულესი დარაჯი. დღეს ის ისეთივე გულმოდგინებით ემსახურება კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, როგორც ბრიტანეთის გაუმაძღარი იმპერიალიზმი.

ყოველივე ამას ნათლად გვე ლაპარაკება მიმდინარე სხდომები გამცემლურ ინტერნაციონალებისა.

მაგრამ, რამდენათ მაგრად გრძნობენ თავის თავს მოღალატეები, ამას მოწმობს ის გარემოება, რომ სხდომებს აწყობენ დიდი საიდუმლოების ქვეშ. მათ ეშინიათ მუშების, ეშინიათ მშრომელთა მასების, რომელთა წინააღმდეგ ბურჟუაზიის ერთგული მონები აწყობენ ახალ გამცემლობას.

და ეს შიში სავსებით საფუძვლიანია მათი გახსნისა და ... ევროპის მუშათა კლასი ნებას აღარ მისცემს არავის კვლავ შეცდომაში შეიყვანოს ის. კაპიტალის შემოტევის წინააღმდეგ მუშათა კლასის სიღრმიდან იზრდება პროლეტარიატის ძლიერი ფრონტი.

რამდენიც უნდა არ ილაყბონ გამცემლებმა ისინი ვერაფერს ვერ გახდებიან ვერც ამ ძლიერი ფრონტის წინააღმდეგ, ვერც კომუნისტური მოძრაობის წინააღმდეგ და ვერც კაპიტალისტური სახელმწიფოს ვერ გადაარჩენენ.

სოციალისტური რევოლიუცია, პროლეტარიატის მძლავრი ფოლადი ფრონტი გაანადგურებს ბურჟუაზიასაც და მის ერთგულ ფინიებსაც—მენშევიკებს.

და ეს დრო შორს არ არის.

## კანდიდატების წევრებად გადარიცხვის გამო.

პარტ. კომისიაში ხშირათ მოდის ისეთი საქმეები, რომელიც შეეხება პარტიის კანდიდატობიდან წევრათ გადარიცხვას. ამ საქმეებში ხშირათ გაუგებრობას აქვს ადგილი, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება პარტიის წესდებას. ჩვენი წესდების თანახმათ, როდესაც თანამგრძნობი კანდიდატათ მტკიცდება ის თავის სოციალური მდგომარეობის მიხედვით გაივლის სათანადო საკანდიდატო სტაჟს. (მუშა და წ. არმიელი ექვსი თვე, გლეხი წელიწადი და სხვები ორი წელი) ამის შემდეგ, განახლებული რეკომენდაციებით და სათანადო განცხადებით, უნდა იქნეს განხილული იაჩეიკაში მისი წევრათ დამტკიცების საკითხი. ხშირათ, უმეტესათ, თვითონ მათ (კანდიდატებს)ავიწყდებათ თავიანთი წევრათ გადარიცხვის დრო და ამავე დროს იაჩეიკის მდივნებიც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ამ საკითხს, როცა ბოლოს და ბოლოს გაუგებრობას იწვევს კანდიდატების შორის კიდევ ერთი საკითხი, როგორც არის თეორიული მომზადება კანდიდატების, რომლებიც გამოიცდებიან წევრებათ დამტკიცების დროს. ამ საკითხს ყოველთვის პირველი ადგილი უჭირავს წევრათ დამტკიცების დროს, ამიტომ არ უნდა ავიწყდებოდეს ყველა კანდიდატს რომ ის შედის მუშების და გლეხების ხელმძღვანელ პარტიაში, რომელსაც ბლომათ ჰყავს მტრები: მემამულეები, მეფაბრიკეები, ვაჭრები, სამღვდელოება და სხვა წვრილ ბურჟუაზიული პარტიები მენშევიკები, ფედერალისტები და სხვა. ყველა ჩამოთვლილი პარტიები ყოველთვის მუშების და გლეხების მტრები არიან და თუ ჩვენი პარტიის წევრი არ არის მომზადებული მტრების სათანადო პასუხის გასაცემად, ის ვერაფერი კომუნისტია. ამიტომ კანდიდატების თეორიულ მომზადებას უნდა ექცეოდეს ყურადღება, როგორც თვით კანდიდატის მიერ, აგრეთვე იაჩეიკის და კოლექტივის მხრივ. ყველა კანდიდატები უნდა ირიცხებოდენ ნაწილის პარტ. კოლებში, სადაც სათანადო მომზადებას მიიღებენ. ეს ვფიქრობ, ლიდ ახსნა განმარტებას არ მოითხოვს, რადგან ეს ისედაც ყველასათვის ჭეშმარიტ საგანს უნდა წარმოადგენდეს. მხოლოთ კოლექტივების და უჯრედების საყურადღებოდ უნდა აღინიშნოს, რომ, თანახმათ რუს. კომპარტიის ცეკას დადგენილებისა, ამა თვის 21 იანვრისათვის ყველა კანდიდატები, რომლებსაც გავლილი აქვთ საკანდიდატო სტაჟი უნდა იქნენ გადარიცხული წევრებათ. ეს დღე უნდა აღინიშნოთ, როგორც ლენინის პარტიის გადიდების და გაძლიერების დღეთ.

ს. ლ.

## ყვითლების ბანაკში

### მე-2-ე და ამსტერდამის ინტერნაციონალების სხდომებზე.

### წყალი! დანს გული მისდის!

ბრიუსელის თათბირი გაიხსნა ორ იანვარს მეორე ინტერნაციონალის ბიუროს სხდომით. გახსნისთანავე სიტყვით გამოვიდა რუსი მენშევიკი დ. ნი, რომელმაც ილაპარაკა საქართველოს შესახებ: „ბრომლეიმ განაცხადა, რომ საქართველომ ნორმალურ განვითარებას მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების ქვეშ. მაგრამ ლაპარაკობდა თუ არა ის ბრიტანეთის მუშათა მოძრაობის სახელით, როცა მან გააკეთა ასეთი განცხადება?

### ინგლისის მუშები არ მოსტყუვდებიან.

ამის შემდეგ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ გამოილაშქრეს რამოდენიმე ორატორმა, მაგრამ ინგლისის მუშათა პარტიის დელეგატები ვერ მოატყუილა ამ ხრიკებმა. მათ აშკარად აგრძნობინეს, რომ ინგლისის მუშათა დელეგატები არ მოეწერდებიან საბჭოთა საწინააღმდეგო დეკლარაციებს.

### ინგლისის მუშები არ იბრძვიან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

5 იანვრის დილის სხდომაზე ქართველის ოქმის კენჭისყრის დროს ინგლისის დელეგაციამ თავი შეიკავა ხმის მიცემისაგან. დელეგაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა როსტას თანამშრომელთან განაცხადა: „ჩვენ ვერ მივემხრობით იმ გეგმას, რომელიც დაკავშირებულია მკაცს ძლიერ ომთან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ვინაიდან ინგლისის მუშათა კლასი არ იბრძოლებს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ“.

### მშავე მენშევიკი—წერეთელი

ფიქრობენ, რომ კიდევ იქნება ცდები საქართველოს საკითხის დაყენებისა. ამას ამტკიცებს 5 იანვრის გამოსვლა, სადაც ვანდერველდემ გაიცნო დამსწრეთ წერეთელი და განაცხადა, რომ საქართველო, როგორც ძველად პოლონეთი, ჩაგრული ქვეყნის განსახიერებაა, ასევე ილაპარაკა წერეთელმა, რომელსაც უწოდა თავისთავს საქართველოს სოციალისტების და ქართველი ხალხის წარმომადგენელი.

## პირველ რიგში—კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლა.

აღსანიშნავია ის, რომ ორატორები თავის სიტყვებში ილაშქრებდენ კომუნიზმის წინააღმდეგ, ხოლო საკითხი კაპიტალიზმის შესახებ მათ უკანა რიგში ჰქონდათ. საკითხი საბჭოთა კავშირის შესახებ ძირითად საკითხად რჩება ბრიუსელის თათბირზე.

## გამოაქვეყნა კაუცკის ცოცხალი ნეშტი.

გაზ. „კოლიენის“ ფურცლებზე ვანდერველდე ეხება ინტერნაციონალების კონფერენციის პროგრამას და ამბობს: „კაუცკის მემორანდუმი საფუძვლად დაედება იმ პოზიციას, რომელიც უნდა დაიკავოს ინტერნაციონალებმა კომუნისტების მიმართ. კაუცკი ამტკიცებს, რომ სოციალ-დემოკრატიას არაფერი საერთო არ აქვს კომუნისტებთან. თუ რომ არსებულ მდგომარეობაში საჭიროა ხელი შეუშალოთ ავანტიურის ცდებს, მაინც სოციალისტურმა პარტიებმა უნდა შეისწავლონ რუსეთის მდგომარეობა, რათა გამოიყენონ ყოველგვარი შესაძლებლობა—დაეხმარონ რუსეთის ხალხს თავისუფლებისათვის ბრძოლაში“.

## საბჭოთა მშენებლობის მორიგი ამოცანები.

### მოხსენებები ადგილებიდან.

საბჭოთა მშენებლობის გამოსარკვევად გამართულ თათბირის 5 იანვრის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები ადგილებიდან. ტვერის, პოლტავის და პენზის გუბერნიების წარმომადგენელთა მოხსენებების შემდეგ ილაპარაკა ამხ. კალინინმა.

### ამხ. კალინინის სიტყვა.

#### რაში მდგომარეობს მთავარი ამოცანა.

მე მინდა—განაცხადა კალინინმა—შევჩერდე ჩვენი თათბირის მნიშვნელობაზე და იმ მიზნებზე, რომლის განხორციელებისაკენ ის მიისწრაფვის.

თანამედროვე ამოცანას შეადგენს ის ორგანიზაციული ფორმების გამოძებნა, რომლებიც ძისცემენ გლეხთა მასებს თვითმოქმედების გაფურჩქვნისა და გაფართოვების საშუალებას.

მეორე მხრით საჭიროა, რომ ეს ფორმები აკმაყოფილებდენ როგორც გლეხობას, ისე მუშათა კლასს. ეს ფორმები როგორც გარეგნულის მარავ, ისე არსებითადაც გამოძებნილია.

უკვე 7 წელია ჩვენში არსებობენ ხელისუფლების ასეთი ორგანოები. ეს ორგანოები გამონაკლისი არ არიან: მათ დაგვანახეს, რომ შეუძლიათ პრაქტიკულ მუშაობაში ფართო მასების ჩაბმის განხორციელება.

ასეთი ორგანოებია საბჭოები.

მსოფლიო რევოლიუციონური მოძრაობის აყვავებისას ეს ორგანოები სავსებით ითვისებდენ და აყალიბებდენ რევოლიუციონურ მასების მოძრაობას.

### მასები უნდა ჩავაბათ საბჭოთა საქმიანობაში.

მასა მგრძნობიერია, ის ვერ იგუებს უბრალო მოხელეობასაც კი, არამც თუ უსასტიკეს ქცევას.

ჩვენს წინაშე სდგას მთავარი ამოცანა-გამოვძებნოთ ისეთი ზომები, რომლებიც შესაძლებლად გახდის ფართო მასების ჩაბმას მუშაობაში.

### როგორ ჩავაბათ მუშაობაში მუშები და გლეხები?

რას ნიშნავს ჩავაბათ საბჭოთა მუშაობაში? ეს იმას ნიშნავს, რომ გამოვნახოთ საბჭოთა ხელისუფლების ისეთი ფორმები, რომლებიც მიიზიდავენ ყოველ შემთხვევაში მუშებსა და გლეხების ძირითად მასებს, რომ ისინი გრძნობდენ, რომ მონაწილეობას ღებულობენ ამოცანების გადაჭრაში.

მასების გაერთიანებაში და მათ აქტიურ მუშაობაში ჩაბმის საქმეში უდიდესი როლის თამაში შეუძლია საბჭოებს.

საბჭოებს მეტად ბრწყინვალე წარსული აქვთ.

### თათბირის პოლიტიკური მნიშვნელობა.

ეს თათბირი მოწმობს იმას, რომ პარტია დიდ ყურადღებას აქცევს საბჭოებს და ცენტრალურ აღმასკომს. პარტია საბჭოთა ორგანოების საშუალებით უნდა დაუკავშირდეს ფართო მასებს.

უეჭველად საჭირო საბჭოებში უპარტიოების გაძლიერება. უპარტიოების როლი ეხლა იზრდება. საჭირო დავანახოთ მოსახლეობას, რომ მართვა-გამგეობის საქმეში ჩაბმული არიან უპარტიოებიც.

ყოველი ჩვენი გამარჯვება მოითხოვს უზომო ძალღონეს და ამ ძალღონეს ხარჯავს არა მარტო კომუნისტები, არამედ იგი ტვირთად აწვება უპარტიოებსაც.

მეორე საქმეა იმ პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტა რომლებიც ეხლა მორიგ ამოცანად გვაქვს დასახული.

სახელმწიფოს არცერთ ორგანოს არ შეუძლია იყოს ყოველთვის სამართლიანი და ყოველი საქმე გადაწყვიტოს სრული სისწორით.

## უველაზე საჭირბოროტო საკითხი.

ყველაზე საჭირბოროტო საკითხი არის ის, რომ საბჭოებს და განსაკუთრებით კი მის უპარტიოშემადგენლობას დავაკისროთ პასუხისმგებლობა და ამასთან შეფარდებით მივსცეთ სათანადო უფლებებიც.

ენერგია მასებში მხოლოდ ეხლა გროვდება და ჩვენ მას უნდა მივსცეთ შესაფერი გამოსავალი.

აი ჩვენი ამოცანა დღევანდელ მომენტში; მუშათა მასებში, განსაკუთრებით კი გლეხებს შორის დაგროვილი ენერგია უნდა გამოვიყენოთ საბჭოთა აღმშენებლობის საქმეში.

# წითელ არმიიდან შვებულებაში წასულებზე სამუშაოს მიცემის წესრიგის შესახებ.

შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოები ვალდებული არიან აღრიცხონ ნახევარი წლის განმავლობაში დემობილიზაციის შემდეგ სამკომატებაში მიღებული პირები.

ყველა დაწესებულებები ვალდებული არიან აცნობონ სახალხო კომისარიატის მახლობელ ორგანოებს იმ თანამდებობათა შესახებ, რომლებიც დაცლილი არიან არმიაში და ფლოტში მოსამსახურეთა გაწვევის გამო.

ეს ადგილები დაკავებულ იქნებიან სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილ პირებით არა უგვიანეს ერთი თვისა მათი შვებულებაში წასვლიდან.

ეს დადგენილება ძალაში შევა, როცა მას დაამტკიცებს მთავრობის სათანადო ორგანოები და გავრცელდება იმ წითელ არმიელებზე, რომელთა შესახებაც ჩვენ აღვნიშნავთ შემდეგში.

# ინგლისის მუშათა ბრძოლა კაპიტალის წინააღმდეგ.

სამხრეთ-უელსის (ინგლისში) სამთო-მადნო მუშები მოუწოდებენ ინგლისის პროფ-კავშირთა კონგრესის მთავარ საბჭოს და მუშათა პარტიის აღმასკომს მოწვეულ იქნას ახლო მომავალში მუშათა კლასისა და პროფ-მოძრაობის წარმომადგენლების კონფერენცია; კონფერენციამ უნდა განიხილოს ახალი მდგომარეობა, რომელიც შეიქმნა ინგლისში კონსერვატიული მთავრობის მიერ ძალა უფლების აღების შემდეგ.

რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ კონფერენციამ უნდა მოამზადოს მუშათა კლასის ორგანიზაცია კაპიტალის მომავალ შემოტევის წინააღმდეგ საბრძოლველად.

# მოკავშირეები მუხრუჭს უჭერენ გერმანიას.

ნოტაში კელნის ზონის შესახებ მოკავშირეები აღნიშნავენ, რომ გერმანიამ არ შეასრულა ის პირობები, რომელზედაც მან მოაწერა ხელი შეთანხმების დროსო. ნოტაში აღნიშნულია აგრეთვე ის, რომ საკონტროლო კომისია მალე წარმოადგენს თავის გამორკვევის ანგარიშს და მოკავშირეებს საშუალება ექნებათ განსაზღვრონ, თუ რა უნდა გააკეთოს კიდევ გერმანიამ განიარაღების საქმეში, რომ ხელშეკრულება კეთილ სინდისიერად იქნას ასრულებულიო. ამის შესახებ გერმანიას გადაეცემა ცნობები მოკლე დროში.

# მემამულეთა პოლონეთში

## პოლონეთის მემაღაროების დაპატიმრება.

დომბროვსკში და რაფოვნში (პოლონეთში) განახლებულ იქნა მაღაროს მუშათა დაპატიმრება, რომელთაც ბრალს სდებენ კომუნისტობაში.

## პოლიტიკური ქურდობა.

ამ დღეებში ვარშავაში თავს დაესხნენ ჩეხო-სლოვაკიის საელჩოს, ღამით გატეხეს საელჩოს სალარო, რომელშიაც ინახებოდა საიდუმლო საბუთის ქაღალდები. ქურდობა აშკარა პოლიტიკური ხასიათისაა.

# ლენინის გარდაცვალების წლის თავი.

## ცირკულიარი.

### კავკასიის წითელ დროშოვან არმიის პოლიტ-სამმართველოსი.

ქ. ტფილისი. №7. 6 იანვარი 1925 წ.

„ლენინი მოკვდა, მაგრამ ლენინიზმი ცოცხალია".

1925 წლის 21 იანვარს სრულდება პირველი წლის თავი ლენინის გარდაცვალებიდან. ლენინიზმის ფართედ და ღრმავებულ პროპაგანდის მიზნით, ლენინის გარდაცვალების პირველი წლის თავზე საჭირო წარმოებულ იქნას ფართე სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა როგორც პარტიის შიგნით, ისე უპარტიო მუშებში, გლეხებში და ყველა მშრომელ მასებს შორის. ამისათვის 18-დან 25 იანვრამდი უნდა ჩატარდეს ლენინის მოსაგონარი კვირეული. ამ კვირეულის ამოცანები მდგომარეობს იმაში, რომ რაც შეიძლება აგიტაცია პროპაგანდის მარტივი ფორმებით, მეთოდებით და ყოველგვარი საშუალებებით განმარტებულ იქნას ფართო მასებში ლენინიზმის საფუძვლები, მიქცეულ იქნას პოლიტიულის განსაკუთრებული ყურადღება ლენინიზმის და პარტიის ისტორიის შესწავლისაკენ; ახსნილ იქნას ლენინიზმის შეიარაღებული დამცველი ძალის—წითელი არმიისა და ფლოტის მნიშვნელობა.

ამ მუშაობას საფუძვლად უნდა დაედოს შემდეგი:

I. 1. რკპ-ს რიგების მაქსიმალური შემჭიდროება ლენინიზმის დროშის ქვეშ და სასტიკი წინააღმდეგობა პარტიის ლენინურ ხაზის გამრუდებისათვის ყოველგვარ ცდების. 2) რკპ წითელი არმიის ბელადი და ორგანიზატორი, 3) თანდათანობით უფრო მეტი შემჭიდროება მუშათა მასებისა პარტიის გარშემო, 4) პარტიის მთელი მუშაობის გაძლიერება და გაღრმავება სოფლად, 5) მუშათა კლასის „სმიჩკის" (დაახლოების) გაძლიერება გლეხობასთან, 6) წითელი არმიის „სმიჩკის" გამტკიცება და გაძლიერება მშრომელთა მასებთან, 7) მრეწველობის გაძლიერება და შრომის ნაყოფიერების ზრდა.

1. ა) კვირეულის ჩატარების მოსაწყობად ნაწილებში და გარნიზონებში სპეციალური კომისიები არ უნდა იქნან შექმნილი.

ბ) პარტორგანიზაციებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ სარაიონო, ქალაქის საერთო და დელეგატების კრებებზე, რომლებიც მოწყობილ იქნებიან სამოქალაქო ორგანიზაციების მიერ ლენინის მოგონების კვირეულში.

გ) კოლექტივებში ღია პარტკრებებზე წამოყენებულ იქნას საკითხები კვირეულის ძირითად მომენტების შესახებ:

1. ამხ. ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა.

2. პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ერთი წლის მუშაობა ულენინოდ.

3. პარტიის ბრძოლა ლენინიზმის დამახინჯების წინააღმდეგ.

დ) ღია პარტკრებებზე გადაყვანილ იქნან პარტიის კანდიდატები წევრებად; ლენინურ ახკომკავშირის წევრებისა და უპარტიოთა შემადგენლობიდან—პარტიის კანდიდატებად.

ე) საერთო კრებებზე მოეწყოს მოხსენებები: „ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა", „ლენინი და გლეხობა".

II. ა) წითელ არმიელებს შორის პოლიტმეცადინეობაზე ჩატარებულ იქნას ერთი მეცადინეობა (2 საათი) რომელმაც უნდა გააშუქოს ლენინის გარდაცვალების წლის თავზე შემდეგი საკითხები: რისთვის მოახდინა ვლადიმერ ილიჩის სიკვდილმა ისეთი დიდი შთაბეჭდილება მთელ ქვეყნიერებაზე. ვლადიმერ ილიჩი—მთელი ქვეყნის მუშათა კლასის ბრძოლის ხელმძღვანელი. ლენინი—ორგანიზატორი მშრომელთა და ჩაგრულთა პირველი გამარჯვების. ლენინი—პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს შემქმნელი მთელ ქვეყნიერებაზე. ლენინი და წითელი არმია. ილიჩის ანდერძების ასრულება კომუნისტური პარტიის მიერ. წლის თავის საბოლოო ანგარიში ულენინოდ.

III ა) მუშაობის დაწყებისას უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ლენინის კუთხეებს.

ლენინის კუთხეები გამსჭვალულნი უნდა იქნან ლენინის შინაარსით და უპასუხებდნენ თავის სახელწოდებას.

უნდა მოშორებულ იქნას ყოველივე ის, რაც არ უპასუხებს ლენინიზმს, განახლებულ იქნას ლენინის ლოზუნგები და ციტატები. გამოყოფილ იქნას კუთხეში მთავარი განყოფილება ლენინის ბიუსტით, სურათით და მოკლე ბიოგრაფიით.

მიზიდულ იქნას კუთხეების მოწყობაში წითელ არმიელთა ფართე მასები, გამოყოფილ იქნან წითელ არმიელებიდან სპეციალური ჯგუფები კუთხის მოსაწყობ მუშაობისთვის, რომლებიც მუდამ უნდა ზრუნავდენ ლენინის კუთხეების გარეგნულ მდგომარეობაზე და უნდა იყვნენ ლენინის კუთხეების ნამდვილი ორგანიზატორები და მიიზიდონ მუშაობაში გუნდის დანარჩენი წითელ არმიელებიც.

ჩატარებულ იქნას საუბრების წყება წითელ არმიელთა შორის შემდეგ თემებზე: 1) ლენინის კუთხის ამოცანები. 2) ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა. 3) ლენინი და მუშებისა და გლეხების „სმიჩკა" (დაახლოება). 4) ლენინი და წითელი არმია. 5) რუსეთის კომუნისტური პარტია. (6) კოლექტიური ბელადი მუშებისა და გლეხების. ლენინის სიკვდილის შემდეგ. 6) ლენინი—მთელი ქვეყნის ჩაგრულ ერების ბელადი. 7) ლენინი—სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების შემქმნელი.

ეს საუბრები შეძლებისდაგვარად უნდა იქნან დასურათებული ამონაწერით ლენინის სიტყვებიდან და ნაწერებიდან, სხვა და სხვა მხატვრული გამოხატულებებით, მასალებითი და სხვა თვალსაჩინო სახელმძღვანელოებით.

საუბრები დაკავშირებულ უნდა იქნან მიმდინარე ცხოვრებასა და ამბებთან.

ლენინის კუთხეებში უნდა მოეწყოს აგრეთვე მხატვრული ლიტერატურის ხმა მაღალი კითხვა ლენინის შესახებ; უნდა ჩატარდეს თვით შემოქმედების საღამოები, სიმღერა. ლექსების კითხვა ლენინის შესახებ. სასურველია წითელ არმიელთა ძალებით დამზადებულ იქნას ალბომები ლენინის შესახებ, ხოლო იქ, სადაც ასეთები უკვე არიან—განახლებულ იქნან.

ბიბლიოთეკებმა უნდა აწარმოონ ფართე პროპაგანდა თხზულებების—ლენინის და ლენინის შესახებ. ბიბლიოთეკებიც უნდა მოეწყოს ისე, რათა ყველაფერი გამსჭვალული იყოს ლენინიზმის სულით. უნდა დამზადდეს და გაიკრას ახალი ლოზუნგები, პლაკატები, ციტატები (ამონაწერები) ლენინის თხზულებებიდან, დამზადდეს სარეკომენდაციო სია. მოეწყოს წიგნების გამოფენა.

მთელი კვირეულის განმავლობაში ბიბლიოთეკებმა უნდა აწარმოონ საგაზეთო მუშაობა, ურჩიონ წერილების და შენიშვნების წაკითხვა, რომლებიც მიძღვნილი არიან ლენინზე.

ბ) მასიური მუშაობა უნდა გამოიხატებოდეს ლენინის მოსაგონარ საღამოების მოწყობაში, სადაც უნდა შედიოდეს: ქოთხრობები, მოხსენებები, პირადი მოგონებანი, ინსცენიროვკები, ცოცხალი სურათები და მხატვრული პროპაგანდის სხვა ფორმები, რომლებიც გამსჭვალული არიან ლენინიზმის პროპაგანდის იდეიურ შინაარსით.

კინო-სეანსი დაშვებულ იქნება იმ შემთხვევაში, თუ რომ კინო-ფილმები თავისი შინაარსით შეეფარდება კვირეულის საერთო შინაარს.

ლენინის მოსაგონარი საღამოები—მოწყობა ინსცენიროვკების, ცოცხალი გაზეთების და სხვა უნდა იყოს შემოქმედების ნაყოფი საკლუბო წრეების და სხვა თვით შემოქმედ ორგანიზაციების და როგორიც არიან: სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოება, საჰაერო ფლოტის მეგობართა საზოგადოება, რემედასი, ქიმიის მეგობართა საზოგადოება და სხვა.

გ) 22 იანვრისთვის საჭირო გამოშვებულ იქნას კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები, რომლებიც მიძღვნილ იქნებიან ლენინის ხსოვნისადმი.

კედლის გაზეთებში განსაკუთრებით გასაგებად უნდა აეხსნას და განემარტოს ახალგაზრდა წითელ არმიელებს ლენინის ცხოვრება, მოღვაწეობა და ანდერძები, რომლებიც ჩვენ დაგვიტოვა დიდმა ბელადმა.

პოლიტსამმართველოს უფროსი რატნეკი.

აგიტპროპ განყოფილების უფროსი სნეგირევი.

# მასწავლებლობის საკავშირო ყრილობის წინ.

## დელეგატების მისვლა

დელეგატები თანდათან იყრიან თავს. მოსკოვში ჩავიდნენ დელეგატები კარა-კალპანსკას ავტონომიურ ოლქიდან, ამურის გუბერნიიდან და ამურის ოლქიდან. საორგანიზაციო ბიუროს განზრახული აქვს მოაწყოს დელეგატების ექსკურსიები და საღამოები.

# მორიგი ჭორი.

კომინტერნის სამდივნო იუწყება: სამხრეთ-სლავიის მთავრობის პრესის მიერ გამოქვეყნებული ხელშეკრულება კომინტერნსა და ნორვეგიის რესპუბლიკანურ გლეხთა პარტიას შორის აშკარა პროვოკაციულ სიყალბეს წარმოადგენს.

კომინტერნი არასოდეს არ აწარმოებდა არავითარ მოლაპარაკებას პარტიასთან ან რადიჩთან, კომინტერნს არ მოუწერია ხელი არავითარ ხელშეკრულებაზე რადიჩთან ან მისი პარტიის რომელიმე წარმომადგენელთან.

კომინტერნის არც ერთ ორგანოში ან აპარატში არ არის თანამშრომელი გვარით სმირნოვი ან სმიროვი.

გამოქვეყნებული დოკუმენტის შინაარსი მოგვაგონებს ჩვენ წაბაძვას მესამე კონგრესის 21 მუხლისადმი, წაბაძვას რომელიც შეთითხნილია ვინმე უკიცა პოლიციელის მიერ.



## მოგვაქციეთ ყურადღება.

ქუთაისის მაზრის სამხედრო კომისარიატში ვიმყოფებით ოთხი გადამწერი-მოწაფე წითელ არმიელები. ივნისის თვეში მივიღეთ საზაფხულო ტანსაცმელი და მას შემდეგ კი თავდება შვიდი თვე არავითარი ტანსაცმელი არ მოგვიღია. კომისარიატის უფ. და ადმშემადგენლობამ და მებარგულე წითელ არმიელმა კი რომლებმაც ივნისის თვეში ჩვენთან ერთად მიიღეს საზაფხულო ტანსაცმელი გასულ ნოემბრის თვეში მეორეთ მიიღეს.

ძლიერ გვიკვირს, თუ რა გამონაკლისს შევადგენთ?

მოგვეცით კუთვნილი ტანსაცმელი!

ქუთ. მაზ. სამხ. კომ. მწერ.-მოწაფე წით.-არმიელები.

## როგორ ჩატარდა ტერიტ. ნაწილების შევსება ახალქალაქის მაზრაში.

ახალწვეულების გამოწვევა ტერ ნაწილების შესავსებათ ახალ ქალაქის მაზრაში დაიწყო 12 დეკემბრიდან. ბრძანების თანახმად შევსებული იქნა ერთი ასეულის შტატი. მიღებულ ამხანაგებს ათასეულის პოლიტხელი ესაუბრებოდა თუ რა მნიშვნელობა აქვს ტერ დივიზიებს, რა სარგებლობა მოაქვს სახელმწიფოსთვის, რამდენი ხნის განმავლობაში უნდა იმსახურონ წითელ არმიელად ტერიტორიალურ ნაწილებში და სხვა. ქართული ენის მცოდნე მხოლოდ 3 პროც. არის და ამიტომ, ახალ წვეულებმა მოითხოვეს საუბრები გადათარგმნილიყო სომხურად, რაც დაუყონებლივ იქნა მოყვანილი სისრულეში. საერთოდ ამ გაწვევას დიდი აღფრთოვანებით ეგებებოდენ, როგორც წვეულები, ისე მშრომელი ხალხი და აღგვითქვამდენ, რომ მტკიცეთ და ენერგიულად შეუდგებიან მათი მოვალეობის ასრულებას.

სამხკორი მეზლვაური.

## ექსკურსია ზოოლოგიურ მუზეუმში.

25 დეკემბერს ცალკე საკავშირო ასეული გაემართა ხსენებულ მუზეუმის დასათვალიერებლათ. ჩვენთან იყვენ ასეულის მეთაურები და უფროსის თანაშემწე. აუწერელია ის სიამოვნება და სიხარული, რომელიც განვიცადეთ ჩვენ მუზეუმის ნახვით.

ბევრ ჩვენგანს არასოდეს არ ეხილა ასეთი სანახაობა.

მეტადრე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მუზეუმმა სოფლებიდან მოსულ წითელ არმიელებზე. სხვა და სხვა განყოფილებებში ვნახეთ სხვა და სხვა იშვიათური ხელოვნებით გაკეთებული მხეცები, ფრინველები და ქვე წარმავალნი.

აქ ჩვენი თვალის წინ გადაიშალა ის დიდებული, ბუნება რომლითაც ესოდენ მდიდარია ჩვენი ქვეყანა სხვათა შორის აქ ვნახეთ ჩვენთვის უცნობი და ულხო უზარმაზარი მხეცი ვეფხვი, რომელმაც ისე მიიზიდა ჩვენი წითელ არმიელები რომ თვალს ვერ აშორებდნენ. ეს ინტერესი უფრო გაცხოველდა არმიელებში, როდესაც გაიგეს რომ ის მოჰკლეს დილომის ველში.

არა ნაკლები ინტერესი, გამოიწვია არმიელებში ზღაპრული ცხოველის ზღვის ვეშაპის ჩონჩხის ნახვამ, რომელიც გასულ საუკუნეში გამოუგდია შავ ზღვას ბათომში.

სხვა მრავალ ასეთივე მომხიბველი სურათების დათვალიერების შემდეგ ისევ მწყობრად გამოვეშურეთ ასეულის ყაზარმისაკენ.

სასურველი იქნება ასეთი ექსკურსიებზე ხშირათ წაიყვანენ ჩვენ ასეულს. ასეულის მთელი შემადგენლობა დიდ მადლობას უძღვნით იმ დაწესებულებას, რომელმაც საშუალება მოგვცა უფასოთ დაგვეთვალიერებინა ეს დიდებული მუზეუმი.

სამხკორი შალაშინი.

## მეთაურთა სკოლის ცხოვრებიდან.

კურსანტების საახალწლო მოკლე ვადიან შვებულების გამო სკოლაში პოლიტ-კულტ-კულტურული მუშაობაც შეჩერდა, მხოლოდ დრამატიული წრე განაგრძობდა თავის საქმიანობას. მან საახალწლოდ შესძლო შესაფერი პიესის მომზადება.

3 იანვარს დრამ-წრემ სკოლის მე-2 ე ასეულის ძალებით სკოლის კლუბში გამართა წარმოდგენა. დაიდგა ლაზარევის პიესა „ხაფანგი" კომინტერნის დელეგატების მოღვაწეობიდან შესაფერი შესავლით და ეპილოგით. ზოგიერთი ძალა სუსტი იყო, მაგრამ პიესა მაინც მწყობრად ჩატარდა... განსაკუთრებით კარგი შექნა კოლექტიური დეკლამაცია: „მარში მარცხნივ!" „წარსულთან კავშირს ვერიდებით" და სხვა.

ამავე ასეულის კურსანტთა დახმარებით 6 იანვარს სკოლის წითელ არმიელთა გუნდის მიერ ლენინის კუთხეში გაიმართა „კომბინიური საღამო". საღამო ლამაზი და მრავალფეროვანი გამოდგა. მოხსენებები გააკეთეს ამხ. დოლიძემ: „ადამიანის და ცხოველების წარმოშობაზე", ამხ. ქოლოკავამ: „უხილავ ცხოველებზე". ორივე მოხსენება შინაარსიანი გამოდგა მრავალი კითხვა-პასუხიც გამოიწვია. ამის შემდეგ წაკითხული იქმნა ანტირელიგიოზური და რევოლიუციონური ლექსები. წითელ არმიელებმა დაუკრეს ფანდური და იმღერეს.

სკოლის დრამ.-წრემ წითელ არმიელთა მონაწილეობით გამართა სამი საუბარი: „გვალვა და წვიმა, „მიწის ძვრა" და „მეხი და ელექტრობა"-შესაფერი მაგალითების მოყვანით. საუბრები მეტად ცხოველი და შინაარსიანი გამოდგა, რომელშიაც წითელ არმიელებმა მხურვალე მონაწილეობა მიიღეს.

პოლიტ-ხელმა და გუნდის უფროსებმა სურვილი გამოთქვეს რათა ხშირად გაემართათ ასეთი შინაარსიანი საღამოები და დიდი მადლობა გადაუხადეს საღამოს ინიციატორებს.

საღამო დასრულდა ცეკვა-თამაშით.

ჩვენი ხმა.

## მოგვაწოდეთ ჟურნალები.

პირველი ლეგიონის ცხენოსანი მზვერავთა მწყობრი მოთავსებული იყო ამავე ლეგიონის ყაზარმებში და მშვენივრად ვიყავით მოწყობილი. ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენი მწყობრი გადავიდა ახალ ბინაზე, აქაც კარგად მოვეწყვეთ. მოვრთეთ ლენინის კუთხე. ლიტერატურა, გაზეთები ბლომად მოგვდის, მაგრამ არა გვაქვს სხვა და სხვა ქართული ჟურნალები, რომელიც ძლიერ გვაინტერესებს. ასე კუთხეში სისტემატიურად ტარდება ყოველ გვარი კულტურული ხასიათის მუშაობა. იმედია ყურადღებას მიაქცევს ჩვენს თხოვნას ვისაც ჯერ არს და მოგვაწვდიან ჟურნალებს, როგორც არის „ჩირაღდანი", „დროშა" და სხვა ასეთები.

მზვერავი კ. ბუაძე.

## შეჯიბრი სროლაში.

14 დეკემბერს პირველი ლეგიონის ყველა ასეულების წითელ-არმიელებს შორის მოეწყო შეჯიბრი სროლაში. ყველა ასეულები დიდი ინტუზიაზმით (აღფრთოვანებით) შეეგებენ ამ მოვლენას. მიზანში სუსტი სროლისთვის დიდი გულმოდგინეობით ემზადებოდენ. შეჯიბრის გათავების შემდეგ გამოირკვა, რომ გამარჯვება წილად ხვდა მეორე ათასეულის მეოთხე ასეულის წითელ-არმიელებს, რომლებიც დაჯილდოებული იქნენ ლეგიონის ხელმძღვანელების მიერ სათანადო ჟეტონებით, რომლებზედაც გამოხატულია ორი თოფი და ამშვენებს წარწერა „კარგი სროლისათვის".

ამავე დღეს მოეწყო ლეგიონის მეთაურ-პოლიტშემადგენლობის შეჯიბრი სროლაში. აქ პირველობა წილად ხვდა მეორე ათასეულის თავს ამხ. კვარაცხელიას, რომელიც დაჯილდოებული იქნა მშვენიერი დურბინდით. მეორე ადგილი კი დაიჭირა პირველი ათასეულის თავმა ამხ. ჯაფარიძემ მიიღო ჯილდოთ ვერცხლის სათუთუნე, მესამე ადგილი კი ლეგიონის სამხკომს ამხ. ბახიას ხვდა. დაჯილდოებული იქნა ვერცხლის საათით.

წ. არმ. ივ. ბრეგაძე.

## სად მიდის ჩვენი ხვედრი ხორცი?

### პირველი ლეგ. საკანტროლო კომისიის საყურადღებოთ.

პირველი ლეგიონის წითელ არმიელეს ამ ბოლო ხანებში ვითომდა გაუუმჯობესეს კვება და დაიწყეს ორ ორი თავის კეთება სადილისთვის. არმიელებს ეძლევათ სადილად „ბორში" და ქაში, მაგრამ მხოლოდ სახელი აქვს შერჩენილი „ბორშის". სიმართლე, რომ ვსთქვათ ის „ბორში" კი არა უბრალო მარილიანი მტკვრის წყალია. ჭრხალის ნაჭრებს გარდა შიგ ვერაფერს ნახავთ და მასაც ისე იშვიათად, რომ პირდაპირ ბადით დასაჭერია. ხორცი „ბორშში" არა სჩანს. საინტერესოა თუ სად მიდის ჩვენი ხვედრი ულუფა ხორცი. ხომ ნახევარი გირვანქა ეძლევა თითეულ წითელ არმიელს დღიურად? მეორე თავად კი ქაშს იძლევიან.

სადამოზედაც ბორშს გვირიგებენ ვახშმისთვის, მაგრამ ეს უფრო წყალ-წყალაა სადილის „ბორშთან" შედარებით, ეს ხორცისგანაც არ მზადდება. წვენს თევზის სუნი უდის, მაგრამ არც თევზი სჩანს სადმე.

რად არ მიაქცევს საკანტროლო კომისია ამას ყურადღებას?

წ. არმ. მ. ს.

## საკავშირო გუნდის არმიელების კრება.

28 დეკემბერს შესდგა 1-ლ ლეგიონის საკავშირო გუნდის წითელ არმიელთა საერთო კრება. კრებაზედ განსახილველი იყო შემდეგი საკითხები: 1) დამხმარე ჯგუფის კომისიის წევრების არჩევა და 2) სამხკორების, პარტკორის და ახკორის არჩევნები.

მორიგი საკითხების გარშემო ილაპარაკა 1-ლ ლეგიონის სამხკორმა ამხ. იმნაიშვილმა და გააცნო კრებას, თუ რა მოვალეობანი აწევს დამხმარე კომისიის წევრებს და როგორ ენერგიულად უნდა შეასრულონ მათ ყველა დავალებული საქმეები, როგორ გაბედულად უნდა აწარმოონ მუშაობა ყოველივე ბოროტების აღმოსაფხვრელად, როგორც გუნდში, ისე გუნდის გარეშე. ამის შემდეგ ამხანაგმა გააცნო კრებას სამხკორების, პარტკორის და ახკორის მნიშვნელობა და მათი მოვალეობანი, თუ როგორი სისწორით უნდა აწარმოონ მუშაობა ყოველივე უარყოფითი და აგრეთვე დადებითი მოქმედების გამოსარკვევად და გასაშუქებლად. კრებამ ამხანაგის მოხსენების შემდეგ აირჩია ენერგიული ამხანაგებისაგან დამხმარე ჯგუფი და სამხკორები, პარტკორი და ახკორიც.

სამხკორი ს. მეფარიშვილი.

## ჩვენი მუშაობა სოფლად.

კვირას, 4 იანვარს, ქარ. მეთ. სკოლის მეორე ასეულის სცენის მოყვარეთა წრის მიერ სოფელ წყნეთში გაიმართა საღამო.

საღამოს დაესწრო სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობა.

წარმოდგენის დაწყებამდი მოხსენებით გამოვიდენ ამხანაგები შარაშენიძე და ქუასელი. მარაშენიძე დამსწრეებს აცნობს კლუბის მნიშვნელობას. ქუასელი კი გასაგები ენით ცხებას ს. ს. რ. კ. მდგომარეობას და მის გამარჯვებას, როგორც ეკონომიურ, ისე კულტურულ ფრონტებზე.

მოხსენების შემდეგ დაიწყო წარმოდგენა.

წარმოდგენილი იქნა „ხაფანგი" და „ერთი წამი უბედურებამდის". ამხანაგები კარგი მომზადებულები აღმოჩნდენ და წარმოდგენა მეტად შინაარსიანად ჩატარდა. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ცეკვა-თამაში, რის შემდეგ დიდათ ნასიამოვნები სოფლელებმა მადლობა გადაგვიხადეს და დაიშალენ.

კ. ჩ—ძე.

# პარტიული ცხოვრება

## მეხუთე ასეულის პარტიული საკომანოვიდან.

28 დეკემბერს შესდგა 1-ლ ქართულ მსროლელ ლეგიონის მეხუთე ასეულის კომუჯრედის გაერთიანებული კრება.

დაესწრო ყველა პარტიის წევრები, კანდიდატები, ა. კ. კ. წევრები და უპარტიო წითელ არმიელები.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები:

ძველი ოქმის დამტკიცება, საბჭოთა კავშირი და საფრანგეთი, კვირეული მიმოხილვა გაზეთებიდან და განცხადებების განხილვა.

საბჭოთა კავშირის და საფრანგეთის დამოკიდებულებაზე მოხსენება გააკეთა ამხ. ცინცაძემ. ამხ. შეეხო რუსეთისა და საფრანგეთის დამოკიდებულებას. აღნიშნა საფრანგეთის ბურჟუაზიის თარეში და მოქმედება საფრანგეთის მუშათა კლასის წინააღმდეგ და სხვა.

იყო შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

კვირეული მიმოხილვაზე მოხსენებით გამოვიდა ამავე ასეულის წით. მოლ. ამხ. გამყრელიძე. მან დაწვრილებით ამოკრიფა და გააცნო კრებას ყველა საყურადღებო ცნობები ერთი კვირის განმავლობაში, როგორც საბჭოთა კავშირიდან ისე გარეშე სახელმწიფოებიდან. იყო ახალი შეკითხვები.

ამხ ნაგი ტაშით დააჯილდოვა მთელმა კრებამ.

შემდეგ კომუჯრედის მდივანი ამხ. წ. ჯ. ნელიძემ წაიკითხა წითელ მეთაურის ამხ. ადამიას განცხადება პარტიაში მიღების შესახებ.

წაკითხულ იქნა ამხ. ავტობიოგრაფია, რის შემდეგ კომუჯრედმა ერთხმად მიიღო პარტიის კანდიდატათ ამხ. ადამია და აღძრა შუამდგომლობა ბიურო კოლექტივის წინაშე, რათა დამტკიცებული იქნეს. ორიოდე განცხადების შემდეგ დახურულ იქნა კომუჯრედის გაერთიანებული კრება.

პარტკორი ი. შანიძე.

## 1-ლ საარტ. ლეგ. მე-3-მე ბატარეიას კომუჯრედის მუშაობა.

უჯრედი აერთიანებს 20-მდე ამხანაგს. კრებები სისტემატიურად (კვირაში ერთხელ) ხდება. პარტ. და კომ-კავშირელ ამხანაგებს ეძლევათ თემები მოხსენებების გასაკეთებლათ, რის გამო უჯრედის აქტივობის ზრდა შესამჩნევია.

უჯრედს მჭიდრო კავშირი აქვს ბიურო კოლექტივთან, საიდანაც იღებს სათანადო დირექტივებს მუშაობის საწარმოებლათ. ხშირათ იმართება ღია კრებები, რომლებსაც ესწრება უპარტიო წით. არმიელთა დიდი რიცხვი. უჯრედი სერიოზულ ყურადღებას აქცევს წით. არმიელთა ყოფა-ცხოვრების კეთილ-მოწყობის და გაუმჯობესების საქმეს. უჯრედი აქტიურ ხელმძღვანელობას უწევს უპარტიო ამხანაგებს.

პარტიაში შესვლის მსურველთა რიცხვი თანდათან იზრდება.

უჯრედს აქვს პოლიტ-წრე.

უჯრედი გარდა შინაური პოლიტიკური და ორგანიზაციული ხასიათის საქმიანობისა, სათანადო მასიურ მუშაობასაც აწარმოებს. უჯრედის მუშაობაში მთავარი ადგილი უჭირავს საშეფო საქმიანობას.

ჩვენს ბატარეიაზე შეფობა აქვს აღებული გრეხილ ავეჯეულობის ქარხნის მუშებს. საშეფო მუშაობის საწარმოებლად და ურთი-ერთ შორის მჭიდრო კავშირის დასახმარებლად ქარხნის უჯრედისა და ბატარეის უჯრედის მიერ არის გამოყოფილი ამხ. ამხ. დოლიძე და შმულევიჩი, იმართება მუშებისა და წითელ არმიელთა საერთო კრებები, კეთდება მოხსენებები, როგორც ჩვენი ისე მათი, მუშაობის შესახებ.

წით. არმიელების სამეურნეო ცხოვრებასთან დაახლოვების მიზნით, მესამე ბატარეიაში მოწყობილია კუთხე გრეხილ ავეჯეულობის ქარხნის ნაწარმოებისა.

დიდი მადლობის ღირსია ამხ. დოლიძე და შმულევიჩი, რომელთაც დიდი ენერგია გამოიჩინეს რომ 1-ლ საარტილერიო ლეგიონის კლუბისათვის საჭირო მოწყობილება და საგნები მიეღოთ ხსენებულ შეფ-ქარხნიდან.

კლუბი გაიხსნა დიდი ოქტომბრის რევოლიუციის 7 წლის თავზე, საზეიმო სხდომას დაესწრო ქარხნის მუშების მთელი შემადგენლობა.

უჯრედმა მოაწყო წით. არმიელთა ექსკურსია ქარხანაში. ჩვენი მჭიდრო კავშირი ამ შემთხვევაში, ხსენებულ ქარხანასთან აიხსნება იმითაც, რომ ჩვენს ბატარეიაში არიან ამ ქარხნიდან გამოწვეული დახვის მუშები.

**წ. არმ. მ. კუხალეიშვილი.**

ზე უკვე მიქცეულია ყურადღება ჩვენი კოოპერატივის გამგეობის მიერ, რომელიც შეეცდება მოაწყოს რიგის ეს ნაკლულევანება. ახლა კი ამაში უნდა დაეხმაროს წითელ-არმიელებს სამხეო ნაწილი. შველა შეიძლება ამნაირად: არმიის საწყობებში დარჩენილია თუთუნის („მახორკა“), ასანთის და პაპიროზის ქაღალდის სამი თვის მარაგი მთელ კავკასიის წითელ-ლაშქრისთვის. ამ თამბაქოს შესყიდვა შეიძლება 12 მ. და 88 კაპ. ფუთი (ოთხკაპეიკ მდის თითო პაჩკა), პაპიროსის ქაღალდი — თითო კაპ. თითო პატარა წიგნაკი და თითო ყუთი წუმწუმა ნახევარ-ნახევარი კაპ. შეძენა შეიძლება ასე: სამხეო ნაწილმა უნდა გამოარკვიოს რიცხვი იმ წითელ-არმიელებისა, რომელნიც სწევენ თუთუნს, იანგარიშოს რამდენია მათთვის საჭირო თუთუნი, ქაღალდი და წუმწუმა და შეიტანოს ყველა ამის ღირებულება სალაროში სახალხო სამხ. კომისარიატის ხარჯთ-აღრიცხვის (სურსათის დამზადება) 12—§ და 1 მუხ.-ს აღსადგენად. ეს ფული უნდა დაეკავოთ წითელ-არმიელებს ჯამაგირში. სალაროს ქვითრის წარდგენის შემდეგ არმიის საწყობიდან გაიცემა სათანადო რიცხვი თუთუნისა, ქაღალდის და ასანთისა, რომელიც განაწილება წითელ-არმიელებს. ეს ოპერაცია შეიძლება შესრულებულ იქმნას კოოპერატივის საშუალებითაც.

**ს. შაკუნი.**

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა აცხადებს სტუდენტთა საყურადღებოთ, რომ ეკზამენების სესიის დასრულების შემდეგ 11 თებერვლიდან განახლდება ლექციების კითხვა.

**— წამლეულობის გამოწერა.** ა. კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატის მიერ საზღვარ გარეთ შეკვეთილია 400 ათასი მანეთის წამლეულობა.

**— მუშათა ჯანმრთელობა.** დაზღვეულ მუშათა საექიმო დახმარების განყოფილებამ დაასრულა მეთამბაქოეთა მუშათა ჯანმრთელობის გამოკვლევა.

**— საფოსტო ნიხრი.** ჯან. სახკომმა გადასწყვიტა საქართველოში შემოღებული საფოსტო ნიხრი გაუთანასწოროს რ. ს. ფ. ს. რ. შემოღებულ ნიხრს.

# ამბები სოფლებიდან.

**გზის დამთავრება.**

სოფ. ახალქალაქის აღმასკომმა (გორის მაზრა) გადასწყვიტა მარტამდე დაამთავროს გრაკალი-ახალქალაქის გზის გაყვანა.

**სამეურნეო მუზეუმი გორში.**

გორის მაზრის აგრო დახმარების მაგიდას გადაწყვეტილი აქვს გორში მოაწყოს სასოფლო-სამეურნეო მუზეუმი.

**მევენახეობის კურსები.**

გადაწყვეტილია ახლო ხანში გაიხსნას მევენახეობის კურსები სოფ. მეჯვრისხევში, ატენში და ახალქალაქში. კურსებზე სწავლა იწარმოებს ორ-ორი კვირის განმავლობაში.

**საავადმყოფო სიღნაღში.**

სიღნაღის აღმასკომმა გადასწყვიტა ადგილობრივი საავადმყოფო გადაიტანოს ახალ შენობაში.

**მეხილეობის განსავითარებლად.**

გორის მაზრაში მეხილეობის გაუმჯობესებულ დონეზე დასაყენებლათ აგრო დახმარების მაგიდამ გადასწყვიტა გახსნას მეხილეობის შემსწავლი კურსები სოფ. მერეთში და ქვემო ჭალაში.

**წყაროს გაკეთება.**

სოფელ ცხერონისის (გორის მაზრა) აღმასკომმა გადასწყვიტა ადგილობრივ გააკეთოს წყარო და გააფართოოს სასოფლო გზები.

**საშეფო კომისიის მუშაობა.**

სოფ. ასკანის საშეფო კომისიამ გადასწყვიტა პირველ რიგში იმეცადინოს ასკანის წყალსადენის გასაყვანათ თანხების შოვნაზე.

# სამხეო დარგის საკითხები.

**თუთუნით კმაყოფა შეწყვეტილია.**

ამ ბოლო დროს წითელ-არმიელებისაგან ძალიან ხშირად გვესმის უკმაყოფილება ამ ნელ ნაწილის მიერ თუთუნის გაუცემლობაზე, რაშიაც ეს უკანასკნელი სრულიად დამნაშავე არაა, რადგან უფასოდ გაცემა თუთუნისა შეწყვეტილია ცენტრიდან, თანახმად რესპ. რევ. სამხ. საბჭ. 1924 წლ. № 1243 ბრძანებისა, მაგრამ ამავე დროს 1924 წ. 1—ნოემბრიდან წითელ-არმიელს მოემატა ჯამაგირი შვიდი შაურიდან—მანეთ და ერთ აბაზამდის.

თვითეულმა თუთუნის მომწევმა იცის, რომ თუთუნს დიდი ზარალი მოაქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის, ამიტომ უფრო სასარგებლო იქნ ბოდა, რომ ახალგაზრდობას სრულიად დაენებებია თავი თუთუნისათვის. ეს სასარგებლოა ჯანისთვისაც და ჯიბისათვისაც. ფული, რომელიც იფლანგება თუთუნზე, უკეთესია მოხმარდეს რაიმე ნივთის შეძენას ან კიდევ—სასარგებლო წიგნისას, რომლიდგანაც წითელ-არმიელი ცოტას იგებ სწავლა განათლებას შეიძენს. კავკასიის წითელ-დროშოვან ლაშქრის ბევრ ნაწილებში წითელ არმიელებმა უკვე შეიგნეს თუთუნის წევის მავნებლობა და გამოიტანეს დადგენილება, არ მოსწიონ თუთუნი, მაგრამ ვინც დიდი ხანია სწევს თუთუნს, ყველა მათგანს არ შეუძლიან თავი გაანებოს წევას, ყველას არა აქვს სათანადო ნებისყოფა.

სამხეო ნაწილს შეუძლიან დაეხმაროს წითელ-არმიელს იაფ-ფასიან თუთუნის შეძენაში.

თუთუნის მომწევ წითელ-არმიელს ხშირად უხდება ხოლმე ზედმეტი აძლიოს კერძო ვაჭარს თუთუნში, რადგანაც ჩვენ კოოპერატივებში არის ძვირფასი თუთუნი და პაპიროზები („სოლიდნი“ და „სოვეტსკი“) იაფ ფასიანი თუთუნი და „მახორკა“, კი არაა ამა-

# შინაურ ცხოველებისა და კ ცის გადამდები ავადმყოფობანი.

**ქეცი.**

(გაგრძელება).

თუ კარგი მოვლა ექნება ცხოველს და სისუფთავე არ მოაკლდება მას, ქეცი არ არის, ქეცი მასზედ ფეხს ვერ მოიკიდებს, მაგრამ თუ ქეცი მაინც შემოგვეპარა ჩვენს თვლაში და საქონელს გაუჩნდა, იმ შემთხვევაში ექიმობასთან ერთად საჭიროა მიღებულ იქნას შემდეგი ზომები.

ყველა ის ცხოველები, ცხენები იქნებიან ისინი თუ სხვა, რომლებსაც ქეცი აღმოაჩნდება, დაუყონებლივ უნდა გამოვაცალკევოთ ჯანმრთელ ცხოველებისაგან და სხვა. მათთვის საკუთრად მიჩენილ თავლაში გადავიყვანოთ, ხოლო იმ თავლაში, რომელშიდაც საქონელს ქეცი დაემართა, იქედან ნეხვის გარედ გატანის და დაწვის შემდეგ, უნდა მოვახდინოთ უსასტიკესი დეზინფექცია, რაიც უნდა გამოიხატოს იმაში, რომ გაწმენდილ თავლის იატაკზე კირის თბილი ხსნილი სქლად მოვასხათ; ჭერი, კედლები, ცხენების თუ სხვა ცხოველების სადგომები, სვეტები და კარები დაუშრეტარი კირით შევათეთროთ. შესაბამისად იარაღებს კუპრი წაუსვათ; ჩოლები, ჩოთქები და საზურველები ნაცარწყალში გამოვხარშოთ და ბაგები ცხელი ნაცარწყლით გავრეცხოთ. ამ საგნების ასეთი დეზინფექცია იმიტომ არის საჭირო, რომ მათზე ქეცის ტკიპები დიდხანს ცოცხლობენ და შესაძლებელია მათგან ქეცი ჯანმრთელ ცხოველებს დაემართოს.

ამ ზომებთან ერთად საჭიროა მიღებულ იქნეს ის ზომებიც, რომ ჯანმრთელ ცხოველებს არავითარი საერთო ავადმყოფ ცხოველებთან არ ექნესთ და ექიმობასა და თავლების სუფთად შენახვასთან ერთად, ქეცის სრულიად მოსპობის მიზნით ხშირად დეზინფექცია იმ თავლასაც უკეთ დებოდეს, რომელშიდაც ქეციანი ცხოველები დგანან, აგრეთვე იმ საგნებსაც, რომლებიც დაკავშირებული არიან ავადმყოფ ცხოველებთან. როგორც მაგალითად: ჩოთქები, საზურველები, ჩულები, თოფრები და სხვა.

ავადმყოფ საქონლისაგან შესაძლებელია ქეცი ადამიანსაც გადაედვას, თუ ამ უკანასკნელმა ავადმყოფი ცხოველის ყუველი მოვლის შემდეგ ხელები კარგად არ დაიბანა საპნით და ცხოველის მოვლის დროს ამ უკანასკნელს თავისი ტანისამოსი არ მოარიდა.

**ვეტექიმი ფარეიშვილი.**

# ახალი ამბები.

**— ქიმია სოფლის მეურნეობისათვის.** 8 იანვრისათვის მოწვეულ ქიმოხსაზოს საბჭოს სხდომაზე სხვათა შორის გაირჩევა საკითხი ქიმიურ ნაწარმოებთა დამზადების შესახებ სოფლის მეურნეობისათვის.

**— წითელ-არმიელთა ბინების შეკეთება გორში.** გორის ადგილობრივი მეურნეობის განყოფილება შეუდგება ახლო ხანში წითელ-არმიელთა ბინების გამშვენიერება შეკეთებას.

**— ავათმყოფების გაგზავნა.** იანვრის ბოლო რიცხვებში აბასთუმანში გაიგზავნებიან დაზღვეული ავათმყოფების მეორე პარტია.

**— ბამბის გადამუშავება.** წარმოკავშირმა განიზრახა მოაწყოს ბამბის გადასამუშავებელი ქარხანა თფილისში.

**— ტრამვაის ვაგონების სიმრავლე.** ტრამვაის დირექციის მეცადინეობით ამჟამად ტფილისში მუშაობს ტრამვაის ვაგონების საკმაო რიცხვი.

**— ლექციების განახლება.**

# მეცნიერება და ტეხნიკა.

**წუმწუმის კოლოფის ოდენა რადიო-მიმღები აპარატი.**

რადიო მიმღები აპარატების ისეთი სიდიდით დამზადება, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მისი ჯიბეში მოთავსებაც კი, მშვენივრად იქნა შესრულებული მხოლოდ ამერიკაში. გამომგონებელი ბრისმანიმ შესძლო დაემზადებია ეს აპარატი წუმწუმის კოლოფის ოდენა. მიუხედავათ მისი ასეთი სიმცირისა, ის მშვენივრად აკმაყოფილებს რადიო მიმღებ აპარატების მოთხოვნილებას. ის ძლიერ გარკვევით და სისწორით ღებულობს ყველა რადიო ცნობებს. აპარატი თავისუფლად თავსდება „ჟილეტის“ ჯიბეში, და შეიძლება გამოიყენო სურვილისამებრ.

**ტელეფონებისა და რადიო-ტელეფონებისათვის ახალი ტიპის მილები.**

ჩვეულებრივ ტელეფონებისა და რადიო-ტელეფონების სასმენ მილებში ფირფიტა, რომლის საშვალებით შესაძლებელი ხდება ბგერების მიღება და გადაცემა, მოთავსებულია ერთგვარ მილის განყოფილებაში.

კონცერტების (რადიო-ტელეფონები) მოსმენის და ლაპარაკის (ტელეფონები) წარმოების დროს მას მიიდებენ ყურზე. ხანგრძლივ ლაპარაკის დროს, ყურზე მიდებული ფირფიტა ხშირად იწვევს ყურის ტკივილს და ამის გამო საჭირო ხდება შესვენება, განსაკუთრებით კონცერტების მოსმენის დროს რადიო ტელეფონებით. ამის გარდა მილის ის ნაწილი, სადაც მოთავსებულია ბგერების მოსასმენი ფირფიტა მჭიდროდ ვერ ემთხვევა ყურს და ამის გამო სხვა გარეშე ბგერებიც სწვდება ყურს, რაც ძლიერ უშლის ხელს კონცერტებს ან ლაპარაკის მოსმენას. ამ ჟამად გერმანიაში გავრცელებულია გაუმჯობესებული ტელეფონის და რადიო-ტელეფონის მიღების ყურზე მისადები ნაწილი ისე დამზადებული, რომ ყველა ეს მიზეზები აცილებულია თავიდან. მილის ყურზე მისადები ნაწილი დამზადებულია შირისაგან (რეზინა) და იმდენად რბილია, რომ სრულიად ვერა გრძნობს კაცი მის ყურზე მიდებას და ის მჭიდროდაც ემთხვევა მას, რომ სავსებით ვერ შედის ყურში სხვა გარეშე ბგერები.

ამას გარდა ამ მილებს ის უპირატესობაც აქვთ, რომ ძლიერ გიგიენური არიან, შეიძლება მათი გარეცხვა—გასუფთავება ყოველთვის, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით იქ, სადაც ძლიერ ბევრი ხალხი სარგებლობს ერთი და იმავე ტელეფონით.

**შორი მანძილიდან მიმღები ახალი რადიო აპარატი.**

აქამდე რადიო ტეხნიკაში ის აზრი იყო გავრცელებული, რომ შორი მანძილიდან რადიო ცნობების მიღებას მხოლოდ მაშინ შეძლებს რადიო-მიმღები აპარატები, როდესაც ისინი აღჭურვილნი არიან გამაძლიერებელი კატოდის სანათურებით. ამ ჟამად კი ეს აზრი დამარცხებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან გერმანიაში უკვე შეძლეს დეტექტორული (დეტექტორი-ელექტრო ჩქერის-სიწორით მიმმართავეია) მიმღებ აპარატის დამზადება. ამ აპარატით ყველა რადიო მოხალისეს, რომელსაც კი აქვს მაღალი ანტენები კატოდის სანათურის გარეშე თამამად შეუძლია შორი მანძილიდან გადმოცემულ ცნობების მიღება.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ლ. ჩანტლაძე**

მეუღლე როზალია ალბერტის ასული და ძმა ჟორა გეგენავები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათი ძვირფასი, ქართული დივიზიის არტილერიის ყოფილი ტეხნიკის

**მიხეილ (მიშა) ნიკოლოზის ძე**

**გეგენავას**

ტრაღიკულად გარდაცვალებას.

გამოსვენება დღეს 8 იანვარს, ნაშუადღევის 3 საათზე, რკინის გზის საავადმყოფოდან ნიკოლოზის სასაფლაოზე, ვერაზე.

**კვირას, 11 იანვარს, დილის ათ საათზე**

გაზეთ „წითელ-არმიელის“ ბინაზე შესდგება

**ტფილისში მდგომ ნაწილების სამხედრო კორესპონდენტთა**

**თათბირი.**

გაზეთ „წითელი არმიელის“ რედაქცია

ნ. დ. ს. ც.

სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. № 3.

ტირაჟი 1500.